

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52  
დეკანოზისათვის: თბილისი 8, მეცნიერება  
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52  
                  +(995 32) 299-88-91  
ელ. ფოსტა: [kancelaria@science.org.ge](mailto:kancelaria@science.org.ge)  
                  [academy@science.org.ge](mailto:academy@science.org.ge)



“21” 06 2019 წ.  
№ 010107-210/203  
თქვ. № \_\_\_\_\_

*პ. ლ. ჯგერაძე*  
*ქ. ვ. ჯგერაძე*  
*თბილისი*  
*თბილისის მეცნიერებათა*  
*აკადემიის*  
*ბატონო ნიკოლოზ,*  
*01.07.19*

სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო  
ინსტიტუტის დირექტორს  
ბატონ ნიკოლოზ ჩიხრაძეს


თანახმად საქართველოს კანონისა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ გაახლებთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებას საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების 2018 წლის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შესახებ.

- დანართი: 1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის 2019 წლის 14 ივნისის დადგენილება №44.  
2. „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების 2018 წ. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება“ – წიგნი 1 ც.  
3. რეცენზიები – 4 გვ.

პატივისცემით

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის  
შემსრულებელი აკად. წევრ.-კორ.

რამაზ ხუროშვილი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი  
დადგენილება № 44

2019 წლის 14 ივნისი

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო  
და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებუ-  
ლებების 2018 წლის სამეცნიერო  
საქმიანობის შეფასების შესახებ

მომხსენებელმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვ. შემსრ., აკად. წევრ-კორესპონდენტმა რამაზ ხუროძემ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონისა (თავი II, მუხლი 4, პ. 2 „ი“) თანახმად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 153 ექსპერტის მიერ (აქედან აკადემიის წევრი 57) შეფასდა ქვეყნის 8 სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მათთან შეერთებული 48 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, აგრეთვე, 12 დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულების 364 ანგარიში, მათ შორის, უმაღლესი შეფასება მიიღო 143-მა, კარგი – 141-მა, დამაკმაყოფილებელი – 74-მა, უარყოფითი – 1-მა, არ შეფასდა – 5, ანგარიშის არასრულყოფილების გამო. დადებით შეფასებებთან ერთად რეცენზიებში მითითებულია შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება გარკვეულ სარგებლობას მოუტანს შესაბამისი დაწესებულების მომავალ სამეცნიერო საქმიანობას.

პრეზიდიუმი ადგენს:

1. ინფორმაცია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 2018 წლის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად (დანართი).

2. აღნიშნული ინფორმაცია აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებასთან ერთად წარედგინოს საქართველოს მთავრობას, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, სამეცნიერო ანგარიშის წარმომდგენ დაწესებულებებსა და აკადემიის ყველა წევრს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის პრეზიდენტი  
აკადემიკოსი გ. კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვ. შემსრ.  
აკად. წევრ-კორესპონდენტი რამაზ ხუროძე



## რეცენზია

თ. ჯიჯიაშვილი Δ

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის

2018 წლის სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის ანგარიშზე

ინსტიტუტს გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში.

საერთაშორისო კონფერენციის მასალებში გამოქვეყნებული აქვს 18 სამეცნიერო ნაშრომი.

ეროვნულ კონფერენციის მასალებში გამოქვეყნებული აქვს 17 სამეცნიერო ნაშრომი.

2018 წელს პროგრამული დაფინანსებით შესრულებული აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

1. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, საბადოთა დამუშავების და კომპლექსური მექანიზაციის განყოფილება

განყოფილების უფროსი – აკადემიკოსი ლ. ჯაფარიძე განყოფილებაში შედის 3 ლაბორატორია.

განყოფილებაში 2018 წელს შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

1.3 პროექტი №4 (საიდუმლო) – საბრძოლო იარაღების და მასალების მიწისქვეშა საწყობების სავენტილაციო და კლიმატის კონტროლის სისტემების მუშაობაზე ბუნებრივი წვეის გავლენის შესწავლა (დასრულებული)

პროექტის ხელმძღვანელი: ლ. მახარაძე, ო. ლანჩავა

პროექტში მონაწილეობს 4 შემსრულებელი.

1.1 პროექტი №1 - “დისკერსულად არმირებული უცემენტო ბეტონის მიღება”

პროექტის ხელმძღვანელი – გ. აბაშიძე,

პროექტში მონაწილეობს 2 შემსრულებელი.

1.2 პროექტი №3 – “ალგეთის ლითოგრაფიული ქვის საბადოს ბაზაზე კირქვების მომპოვებელი სამთო საწარმოს საინვესტიციო პროექტის მომზადება”

პროექტის ხელმძღვანელი – ნ. ბოჭორიშვილი,

პროექტში მონაწილეობს 5 შემსრულებელი.

1.3 პროექტი №5 – “მობილური თვითმავალი სატვირთო საბაგირო გზის მოწყობის და უსაფრთხო ექსპლუატაციის სახელმძღვანელო დოკუმენტაციის დამუშავება”

პროექტის ხელმძღვანელი – გ. ნოზაძე.  
პროექტში მონაწილეობს 3 შემსრულებელი.

## 2. აფეთქების ტექნოლოგიების განყოფილება.

განყოფილების უფროსი – აკად. დოქტორი ს. ხომერიკი,  
განყოფილებაში შედის 3 ლაბორატორია:  
განყოფილებაში 2018 წელს შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- 2.1 პროექტი №1 (საიდუმლო) – ფენოლური ნაერთების ბაზაზე ახალი ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზი (დასრულებული)  
პროექტის ხელმძღვანელები: ს. ხომერიკი, მ. ნადირაშვილი  
პროექტში მონაწილეობს 9 შემსრულებელი.
- 2.1 პროექტი №2 “მეწყერების, დვარცოფების, ქვათაცვენების და ზვავების პროცესების მართვის საინჟინრო ღონისძიებების შემუშავება”  
პროექტის ხელმძღვანელები: ს. ხომერიკი, ე. მექმარიაშვილი  
პროექტში მონაწილეობს 12 შემსრულებელი.
- 2.2 პროექტი №3 (საიდუმლო) – სილიციუმის კარბიდის მარცვლის ზომისა და რაოდენობის გავლენის დადგენა მრავალფენიანი მსუბუქი ჯავშანფილის მექანიკურ თვისებებზე (სისაღე, დარტყმამდგობა) (დასრულებული)  
პროექტის ხელმძღვანელი: ე. ჩაგელიშვილი  
პროექტში მონაწილეობს 5 შემსრულებელი.
- 2.2 პროექტი №2 (საიდუმლო) – შეხლუდულ გარემოში აფეთქების ენერჯის ჩახშობის პროცესების კვლევა საბრძოლო მასალების საწყობების აფეთქებისაგან დაცვის მეთოდების დადგენის მიზნით (დასრულებული)  
პროექტის ხელმძღვანელი: ე. მატარაძე  
პროექტში მონაწილეობს 9 შემსრულებელი.

## 3. ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის განყოფილება

განყოფილების უფროსი – აკად. დოქტორი გ. ბალიაშვილი  
განყოფილებაში ირიცხება 7 თანამშრომელი.

პროექტი №6 (საიდუმლო) – მაღალსიმტკიცის, დარტყმამდგობის და იაფი ბეტონების მიღების ხერხის დამუშავება (დასრულებული)

პროექტის ხელმძღვანელი: გ. ბალიაშვილი  
პროექტში მონაწილეობს 6 შემსრულებელი.

#### 4. ანალიზური ქიმიის და წიაღისეულის გამდიდრების განყოფილება

განყოფილების უფროსი – აკად. დოქტორი ნ. შეყრილაძე,  
განყოფილებაში ირიცხება 9 თანამშრომელი.

პროექტი №4 - “საქართველოს ბუნებრივი პიგმენტების სანედლეულო ბაზის  
შესწავლა და ფაბრიკატის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება ერთ-ერთი საბადოს  
მაგალითზე”

პროექტის ხელმძღვანელი: ნ. შეყრილაძე.  
პროექტში მონაწილეობს 9 შემსრულებელი.

#### 5. საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრი

ცენტრის უფროსი – აკად. დოქტორი გ. ჯავახიშვილი  
ცენტრში ირიცხება 7 თანამშრომელი.

პროექტი №5 (საიდუმლო) – შეიარაღების და საბრძოლო მასალის მიწისქვეშა  
საცავის მზიდი კონსტრუქციების დინამიკურ დატვირთვებზე გაანგარიშება  
კომპიუტერული მოდელირების საშუალებით (დასრულებული)

პროექტის ხელმძღვანელი: გ. ჯავახიშვილი  
პროექტში მონაწილეობს 6 შემსრულებელი.

ინსტიტუტს შესრულებული აქვს შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 6 პროექტი

ინსტიტუტს უცხოური გრანტით შესრულებული აქვს 1 სამეცნიერო  
პროექტი

ბეჭდური პროდუქციის საქართველოში გამოცემული აქვს 3 კრებული  
ISSN-ის მითითებით ინსტიტუტს აქვს 15 სტატია.

ინსტიტუტის ბეჭდური პროდუქციის სახით უცხოეთში გამოქვეყნებული აქვს  
7 სტატია

ინსტიტუტს მიღებული აქვს მონაწილეობა სამეცნიერო ფორუმებში:  
უცხოეთში – II, საქართველოში-18,

ხელშეკრულების საფუძველზე სამთო ინსტიტუტს შესრულებული აქვს 35  
სამეცნიერო/საპროექტო/საექსპორტო/საკონსულტაციო სამუშაოები.

ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობს საპატენტო თემატიკაში:

2018 წელს მიღებული აქვს 1 პატენტი.

ამერიკის შეერთებულ შტატების საპატენტო სააგენტოში შეტანილი აქვს  
განაცხადი №15/567,172

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მიერ, 2018 წელს შესრულებული სამეცნიერო საქმიანობა თეორიული და პრაქტიკული შედეგებიდან გამომდინარე - გარე დაკვეთებით შესრულებული სახელშეკრულებო სამუშაოების გათვალისწინებით, პუბლიკაციებით, რომლებიც გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ, მიღებული გრანტებით, სრულიად სამართლიანად იმსახურებს შეფასებას - უმაღლესი.

რეცენზენტი:

*ა. ჩოყანიძე*

25.03.2019

თამაზ ტროიაშვილი,

ტ.მ.კ.